სტატუსი: დაოჯახებული
Cell: (+995 595) 212214
E-mail: samkharadzeramaz@gmail.com

**განათლება:**

2000 წელს - "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი" - ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი, ვიზუალურ ხელოვნებათა კათედრა. სპეციალობა რეჟისურა და აუდიოვიზუალური წარმოების მენეჯერი ხარისხი: ტელე-ვიდეო რეჟისორი, ბაკალავრი.

**საერთაშორისო სასწავლო პროგრამები:**

2003 წ. პროგრამა აშშ-ში, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწვევით - "რადიო სადგურების მენეჯმენტი" - დიპლომი.

2007 წელის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული - შვედეთი, კალმარი, ჟურნალისტიკის კვალიფიკაციის ამაღლების უნივერსიტეტი "FOJO". პროგრამა "ჟურნალისტიკა და დემოკრატია" - დიპლომი.

2008წ. პროგრამა აშშ-ში USAID -ის პროგრამა "მედია - მენეჯმენტი" დიპლომი.

**სერთიფიკატები და ტრენინგები:**

2001წ. INTERNEWS საქართველოს ინტერნიუსი) - მედია-მენეჯმენტი. რეკლამა, მარკეტინგი და მენეჯმენტი.საინფორმაციო სამსახურის მენეჯმენტი, რადიოქსელების მართვა და მარკეტინგი, სარეკლამო მენეჯმენტი.

2003წ. IBB (საერთაშორისო სამაუწყებლო ბიურო)-"როგორ ვმართო ჩემი რადიო" სერთიფიკატი.

2003 წ. Roial Haskoning გარემოს დაცვითი ინფორმაცია.

2003წ. IREX (საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭო) რეკლამის წარმოება, სარეკლამო სტრატეგია, წინასაარჩევნო დებატების მომზადება რადიოსა და ტელევიზიაში.
2005წ. DW (გერმანული ტალღის აკადემია) საეთერო მასალის მომზადება და საინფორმაციო სამსახური. ახალი ამბები, რადიოჟურნალები და საინფორმაციო პროგრამების მომზადება. მედია მენეჯმენტი.

2006წ. International Labor Organization - გენდერი - მედიის როლი.

2006წ. MDI (Media Development Institute) და BBC-ის ერთობლივი სემინარი სამხრეთ კავკასიის ჟურნალისტებისათვის "მრავალფეროვნების გაშუქება რადიოში". ერევანი.

2006წ. Civitas -ტრენინგი- "ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები"

2007წ. BBC-World service trust- ის სემინარი - მრავალფეროვნება, უმცირესობები.

2007წ. GIPA, Forcign & Commonwealth Office -კავკასიური პროგრამა "მედიის როლის გაზრდა სახელმწიფო პროგრამების გამჭვირვალობის, საზოგადოების წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით"

2007წ. MDC (Media Development Center) სემინარი მედია-მენეჯმენტი, სერთიფიკატი.

2010წ "ტომფსონის ფონდის" მიერ დაფინანსებული ENJN სემინარი ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ თემებზე. მაროკო, რაბატი.

2010წ. „ტომფსონის ფონდის" მიერ დაფინანსებული სემინარი თემაზე მიგრაცია და ტრეფიკინგი. ორგანიზატორი: ევროკავშირი. მოლდავეთი,კიშინოვი.

2010წ. „ტომფსონის ფონდის" მიერ დაფინანსებული კავკასიის მედია ფორუმი. ევროკავშირის პროექტ სამეზობლო კავშირის მხარდაჭერით. რუსეთი, მოსკოვი.

2011წ. "ტომფსონის ფონდის" მიერ დაფინანსებული ENJN სემინარი ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ თემებზე. კვიპროსი, ნიქოზია.

2011წ. „ტომფსონის ფონდის" მიერ დაფინანსებული ENJN სემინარი მედიის თავისუფლების თემაზე. უნგრეთი, ბუდაპეშტი.

2012 წ. "ახალი -მედია,სოციალური ქსელები" –IREX საქართველო -G-MEDIA

2013 წ. გენდერი, ბავშვთა საკითხების გაშუქება, უმცირესობები - „გაეროს მოსახლეობის ფონდი.

2013/XII SIDA და „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ ტრეინინგი გენდერზე.

**პროფესიული და სამუშაო გამოცდილება:**

2015 წ 1 სექტემბერს რამაზ სამხარაძის ხელმძღვანელობით, სამაუწყებლო კომპანია ჰერეთმა ეთერში გაუშვა ახალი რადიო თბილისი FM93.5, 2017 წლის 25 აპრილს კი ინტერნეტრადიო www.relaxwebradio.com

2013 წლის ნოემბრიდან დღემდე -სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი - დირექტორი.

2009- დღემდე ააიპ "საქართველოს რეგიონულ რადიოსადგურთა ქსელის" GRRN -ის თავმჯდომარე.

2013 წლის აპრილიდან -2013 აგვისტომდე ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ განვითარების მენეჯერი.

2013 წლის მაისი ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ მიერ მოგებული სატენდერო პროექტის (ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი- ტელედისკუსიების მომზადება ევროინტეგრაციის თემატიკაზე) ავტორი და დირექტორი.

2012 წლის სექტემბრიდან -2013 წილს აპრილამდე ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ თოქშოუების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

1998 წ. – 2012 წწ -სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი (რადიომაუწყებლობა კახეთი და დასავლეთ აზერბაიჯანი, მაუწყებლობა ხორციელდება ლაგოდეხიდან FM 102.8) -დირექტორი.

1998 წლიდან- დღემდე შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის“ 100% წილის მფლობელი.

2001-2011 წ.წ. -ავტორი და დირექტორი საერთაშორისო ფონდების: IREX, OSGF, EURASIA, USA Embassy, British Council დაფინანსებული და "სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის" მიერ განხორციელებული პროექტების: "რადიო ჰერეთი - დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში"; "შენი უფლება"; "დამოუკიდებელი მედია არჩევნების გაშუქებისთვის";"მეოთხე მოხალისე"; "მე საქართველოს მოქალაქე ვარ"; ."თვითმმართველობის გამჭვირვალობა"; "თვითმმართველობის სარკე"; "ხმა"; "ხიდი";"მთელი კვირა"და სხვა.

2007-2008 წ. "რადიო ქალაქის" FM 101.9 საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერი.

2007-2008წ სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი2" გადაცემა "60 წუთის"ერთ-ერთი ავტორი.

2004- 2006წ. - რადიო “თავისუფლება”, პროგრამა "დღეს დილით"- რეპორტიორი კახეთის რეგიონში.

2001-2005 წ.წ. "საქართველოს რადიო ქსელი" GRN-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი

2000-2001 წ.წ. - კომპანია "რადიო საქართველო"- რადიო"ფორტუნა" სარეკლამო განყოფილება, მარკეტინგის კონსულტანტი.

1997-1998 წ.წ - სტუ, რადიოკომპანია "მეცხრე ტალღა" მუსიკალური გადაცემის წამყვანი.1997-1998 ტელეკომპანია „TV4“ საბავშვო საინფორმაციო პროგრამის ავტორი და პროდიუსერი.
1995-1997 წ.წ - ტელე-რადიოკომპანია "საქართველოს ხმა" თანამდებობა -გადაცემების ავტორი და რეჟისორი.

**სხვა მიღწევები:**

2011 -2013 წწ - არჩეული იყო რადიო „პალიტრის“თვითრეგულირების საბჭოს წევრად.

2009-2010 წლებში რამაზ სამხარაძე არჩეული იყო საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ.

2013 -2014 წწ - (ENP East Media Freedom Watch) არის ჩართული მედიის თავისუფლების ინდექსის კვლევაში ექსპერტის სახით.

2014 წლიდან არის ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის (IFJ) წევრი.

2014 წლიდან ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის (IFJ) სერთიფიცირებული ტრენერი მედიაპროფკავშირის განვითარებისთვის.

2017 წელს, იყო საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის კანდიდატი.

**განსაკუთრებული მიღწევები:**

2015 წელს - აშშ, ტენესის შტატის მაუწყებელთა ასოციაციის საპატიო წევრი

2015 წელს - აშშ, კენტუკის შტატის მაუწყებელთა ასოციაციის საპატიო წევრი

2006 წელს რამაზ სამხარაძის ხელმძღვანელობით „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთმა“ მოიპოვა მსოფლიო სამაუწყებლო ტრესტის სერთიფიკატი დიდ ბრიტანეთში, ლონდონში BBC-სა და ”One Word Media Trust” მაუწყებლობის დაჯილდოვების ცერემონიალზე ნომინაციაში - "ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისთვის".

2000-2001 წ.წ რამაზ სამხარაძის ფილმმა "გენერალური რეპეტიცია" მიიღო სამ ფესტივალზე მონაწილეობა - სტუდენტური ფესტივალი 2000-"ჩვენ მოვდივართ" დიპლომი საუკეთესო ფილმისათვის. სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი (ბათუმი) - "ოქროს ჭაბუკი" დიპლომი. მოყვარულთა ფილმების ფესტივალი '"შემოდგომის თბილისი"" 2001წ. საუკეთესო მხატვრული ფილმი.

არის ათობით რადიო, სატელევიზიო გადაცემის და პროექტის ავტორი

**ენები:** ქართული (მშობლიური) რუსული(კარგად), ინგლისური (კარგად)

**კომპიუტერული პროგრამები:** Windows Ms - სრული პაკეტი, I MAC- სრული პაკეტი, Cool edit Pro, Sound Forge, Jazler Radio Soft.

**ინტერესი:** მუსიკა, ასტროლოგია, ახალი ტექნოლოგიები, ფილმები და მოგზაურობა.

FM 97.3 ბათუმი

# რადიო ბათუმი

## სამაუწყებლო კონცეფცია

ქ.ბათუმში კერძო საერთო რადიომაუწყებლობის
ლიცენზიის მოსაპოვებლად

შპს "სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი"
ივნისი, 2017 წელი



## ჰერეთის შესახებ:




- სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი 20 წელია ბაზარზეა და ფლობს 3 რადიოსადგურს: რადიო ჰერეთს FM102.8 (დაფარვის არეალი: მთელი კახეთი) ჰერეთი ლიდერი მაუწყებელია კახეთის რეგიონში და 19 წელია ეთერში.

- რადიო თბილისი FM93.5 მაუწყებლობს დედაქალაქსა და შემოგარენში, ქალაქებში რუსთავი და მცხეთა. გუდაურში, საგარეჯოსა და კახეთის რეგიონის რიგ სოფლებში. თბილისი, სამაუწყებლო კომპანიის ახალი პროდუქტია, განსხვავებული, მრავალფეროვანი მუსიკით და პროგრამებით. უკვე 1 წელზე მეტია მაუწყებლობს და უამრავი მსმენელის ყური აქვს დაპყრობილი.

- ინტერნეტ-რადიოს www.relaxwebradio.com , რომელიც მსმენელს სპა, ჩილ-აუთ და აკუსტიკ მუსიკას სთავაზობს. რადიო მაუწყებლობს ინტერნეტში და აპლიკაციების მეშვეობით.

- „რადიო იწყება ჩვენით“, „ჩვენ ვსაუბრობთ თქვენს ენაზე“- ეს ჩვენი სლოგანიებია.

- ჩვენ რადიოსადგურებს აქვს უპრეცედენტო„ნიუს პლატფორმა“ რაც ამ ორი FM რადიოსადგურის (ჰერეთი, თბილისი) გაერთიანებულ ახალ ამბებს გულისხმობს. მრავალფეროვანი მუსიკა, ბიზნესზე ორიენტირებული გადაცემები, ტოკშოუებითა და შემეცნებით-გასართობი პროგრამები. რადიოს მომწონებელთა რაოდენობა სოციალურ ქსელში სულ უფრო იზრდება ამჟამად ჩვენს გვერდზე 255 ათასზე მეტი მიმდევარია. მოძებნეთ: RadioTbilisi / FM 93.5 / რადიო თბილისი

- ჯამში რადიოსადგურების დაფარვის არეალში პოტენციურად 3 მილიონზე მეტი მსმენელია.

სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი გამოთქვამს მზადყოფნასა და სურვილს გაუშვას ახალი ადგილობრივი რადიოსადგური ბათუმიდან - რადიო ბათუმი, რომელიც ადგილობრივი ადამიანური რესურსით და პროგრამებით დაკომპლექტდება, იქნება პირველი ადგილობრივი, კერძო რადიოსადგური.

► კომპანიის მისიაა

საზოგადოებისთვის სანდო, ობიექტური და მიუკერძოებული ინფორმაციის მიწოდება.

► ახალი მედია  და სოცქსელები

ჩვენი რადიოსადგურები  წარმოდგენილია ახალი მედიის ყველა პლატფორმაზე. (facebook, Youtube,twitter, soundcloud და სხვა)

► აპლიკაცია




2011 წლიდან ჰერეთი არის პირველი ქართული რადიომაუწყებელი Apple store -ში

2013 წლის 8 ივლისიდან უკვე  ანდროიდზეც. რადიოს სტრიმინგი განთავსებულია  Google play -ში. ჩვენი მოსმენა ყველა სმარტფონშია შესაძლებელი, სადაც არ უნდა იყოთ.

მოძებნეთ: TBILISI FM და Radio Hereti

## ▶ ვებგვერდი

რადიო ჰერეთს 2003 წლიდან გააჩნია ოფიციალური ვებსაიტი, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, პროგრამები, აუდიო ფაილები, ფოტო და ვიდეო მასალა და სხვა...რადიო თბილისის ვებგვერდი 2016 წლიდან მუშაობს. RELAX WEB RADIO კი 2017 წლის აპრილში გაეშვა. ვრცელი ინფორმაცია ჰერეთის შესახებ იხილეთ ჩვენს ოფიციალურ ვებგვერდებზე:

www.heretifm.com www.tbilisifm.com www.relaxwebradio.com

## ▶ კვლევები



სამაუწყებლო კომპანია დაარსებიდან დღემდე ინარჩუნებს ობიექტურ, მიუკერძოებელ და სანდო საინფორმაციო პოლიტიკის მატარებელი მედიაკომპანიის იმიჯს.

ამის წინაპირობაა ისიც, რომ ჰერეთის დამფუძნებლები და თანამშრომლები, არ არიან პოლიტიკური პარტიების, ან სხვა სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლები.

ჰერეთი გამოირჩევა ერთსულოვანი თანამშრომელთა გუნდით და ორგანიზებულობით.

ჩვენი რადიოსადგურები გამოირჩევა მიუკერძოებელი, ობიექტური და დაბალანსებული ინფორმაციით.ახალ ამბებში შუქდება ყველა ის საკითხი, რაც რეგიონში, დედაქალაქში, ქვეყანაში და მსოფლიოში ხდება.პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური თოქ-შოუებიც ეთერს უთმობს როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ბოლო კვლევებით,რომელიც „ინტერნიუს საქართველომ", „გაეროს განვითარების ფონდმა" და „ევროკავშირმა" ჩაატარეს 2016 წელს და რომელის ახალი ტალღა ახლაც მიმდინარეობს, რადიოსადგური დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე ამბებს

„რადიოსადგური ახალ ამბებს პროაქტიულად, მიუკერძოებლად, კრიტიკულად და დაბალანსებულად, წყაროთა სიმრავლით აშუქებდა. რადიოსადგური მოსახლეობის პრობლემებს უყურადღებოდ არ ტოვებდა, რა დროსაც ჟურნალისტები პასუხისმგებელ პირებს მწვავე კითხვებს უსვამდნენ. ისინი მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებების ციტირებით არ შემოიფარგლებოდნენ და თავადაც იჩენდნენ ინიციატივას მოეძიებინათ დამატებითი მასალები და საკითხის ირგვივ მეტი სიცხადე შეეტანათ." – ნათქვამია ანგარიშში.

UNDP INTERNEWS

## ახალი ხედვა ქართულ რადიოსივრცეში

- რადიოსადგურების ფორმატი, მუსიკალური დაპროგრამება მთლიანად მორგებულია ამერიკულ გამოცდილებას.
- რადიოსადგურებმა ამერიკელ კოლეგებთან ჩამოყალიბეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა, რომელიც დღემდე აქტიურად გრძელდება.
- სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი “ქრომველ გრუპის” პარტნიორია, რომელიც 28 რადიოს ფლობს შეერთებულ შტატებში.
- დღეს ჩვენი მარკეტინგის სამსახური მთლიანად ამერიკული გამოცდილებით მუშაობს. კომპანიის თანამშრომლებმა სტაჟირება გაიარეს “ქრომველ გრუპში”

- რადიო თბილისი FM93.5, რომელიც საკმაოდ პოპულარული და საინტერესო რადიო გახდა პარტნიორობს "ბიზნეს მედია საქართველოს" გუნდთან,შესაბამისად მათი გადაცემები "საქმიანი დილა" და "საქმის კურსი" ჰერეთთან ერთად რადიო თბილისის პირდაპირ ეთერშიც გადაიცემა

- ვართ გამოცემების FORBES და FINANCIAL - ის პარტნიორები

- ჩვენ აქტიური მხარდამჭერები ვართ სხვადასხვა ფესტივალის თუ სოციალური კამპანიის. (ყველის და ტურიზმის, ფოტო, FASIONKIDS ფესტივალები, მამების და წითურთა საერთაშორისო დღეები)

**ჩვენი კიდევ ერთი პარტნიორია - საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია (GARB)**

რომლის 2 პოპულარული პროდუქტი: განსხვავებული აზრი და მრავალკუთხედი რადიო თბილისის ეთერშიც გადაიცემა.

## ► ჰერეთის ძველი პარტნიორები:

- Broadcasting Board Of Governors (BBG)
- რადიო "თავისუფლება";
- „საქართველოს რეგიონულ რადიოსადგურთა ქსელი.

## ► გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან

EURASIA FOUNDATION;

IREX;

OSGF;

ამერიკის საელჩო საქართველოში;

გერმანიის საელჩო საქართველოში;

ევროპის საბჭო;

ბრიტანეთის საბჭო;

## ► რადიო ბათუმი

შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი“ წარმოგიდგენთ სამაუწყებლო კონცეფციას

„ ქ.ბათუმში კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომიიის მიერ, N423/10-22 ივნისი,2017წ. გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებულ კონკურსში (საერთო რადიომაუწყებლობა ქ ბათუმში FM97.3) მონაწილეობის მისაღებად.




**რადიო ბათუმი - პირველი დამოუკიდებელი, ადგილობრივი რადიომაუწყებლობა ბათუმში, აჭარაში**

რადიო ბათუმი ტალღაზე FM97.3 მაუწყებლობას არაუგვიანეს 1 მარტიდან 24 საათიან, უწყვეტ რეჟიმში დაიწყებს

ბათუმში გაჩნდება პირველი ადგილობრივი რეგიონული, დამოუკიდებელი კომერციული მაუწყებელი, რომელიც ზუსტად უპასუხებს ბათუმელების ინტერესებს.

გამომდინარე იქიდან, რომ საძიებელი ლიცენზიის სახეობაა საერთო რადიომაუწყებლობა, ხოლო მაუწყებლის შესახებ კანონის ჯ) ქვეპუნქტის შესაბამისად, „საერთო მაუწყებლობა არის არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამებით მაუწყებლობა“ რადიო „ბათუმის“ კონცეფციის თანახმად, უწყვეტად იმუშავებს და მსმენელს როგორც სალიოცენზიო მოთხოვნით სავალდებულო - ახალ ამბებსა და საზოგადოებრივ პოლიტიკურ თოქშოუებს, ამასთანავე მრავალფეროვან, ხარისხიან და მათ ინტერესებზე მორგებულ საეთერო ბადეს შესთავაზებს:

მუსიკალურ, საგანმანათლებლო, შემეცნებით, ანალიტიკურ, საავტორო გადაცემებსა და რუბრიკებს. საბავშვო და ახალგაზრდულ, რელიგიურ, ბიზნესის, პრესის განვითარებაზე ორიენტირებულ, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციისკენ მიმართულ, მედიცინის, ტექნოლოგიების, ისტორიულ-ტურისტულ, კინო და თეატრი, გასართობ-იუმორისტულ, კულტურისა და სპორტის გადაცემებსა თუ რუბრიკებს.

რადიო „ბათუმის“ კონცეფციით რადიოპროგრამირება ყველა ასაკობრივ სეგმენტზეა გათვლილი, მათ შორის ბავშვებზე.

## რატომ რადიო ბათუმი?

აჭარაში, კერძოდ კი ქალაქ ბათუმში ადგილობრივი, კომერციული, დამოუკიდებელი რადიოსადგური არ არსებობს.

ჩვენი დაკვირვებებითა და კვლევების მიხედვით,დედაქალაქიდან ტრანსლირებული სხვადასხვა რადიო ვერ ახდენს შესაბამის ეფექტს ადგილობრივი მსმენელის მრავალფეროვანი გემოვნების და მოთხოვნების, ასევე სარეკლამო ბაზარზე დამკვეთების დაკმაყოფილებისთვის.

ბათუმის მარკეტი პოტენციური სარეკლამო დამკვეთებისთვის უდავოდ საინტერესოა. რადიო ბათუმის სახით ეს არის მათთვის ახალი სარეკლამო და საინფორმაციო გზაც.

რადიო „ბათუმი" იქნება პირველი დამოუკიდებელი ადგილობრივი, კოერძო რადიო, რომელიც ბათუმიდან იმაუწყებლებს და სადაც ადგილობრივები დასაქმდებიან, შეიქმნება ადგილობრივი გადაცემები და რუბრიკები.

რადიო „ბათუმი" მყისიერად უპასუხებს ბათუმელების მოთხოვნებს იყვნენ უკეთესად ინფორმირებულნი ქალაქში, რეგიონში, საქართველოში მიმდინარე პროცეზებზე.

მოუსმინონ მრავალფეროვან მუსიკასა და გადაცემა/რუბრიკებს.

## როგორ იმუშავებს რადიო ბათუმი?

► რადიო „ბათუმი" 24 საათის განმავლობაში უწყვეტად იმუშავებს და მსმენელს მრავალფეროვან, ხარისხიან და მათ ინტერესებზე მორგებულ საეთერო ბადეს შესთავაზებს.

► სამაუწყებლო პოლიტიკა განსაზღვრულია სხვადასხვა კვლევების შედეგების გათვალისწინებით, მათ შორის თავად სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის მიერ ჩატარებული კვლევით.

სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის გუნდი არაერთხელ იმყოფებოდა აჭარაში,ბათუმში, სადაც ჩაატარა პირისპირ გამოკითხვები ბათუმის რადიომსმენელთან.

► ჩვენ შევიმუშავეთ ბათუმისთვის სპეციალური კონცეფცია, სადაც საკუთარ ხედვასთან ერთად,რადიომსმენელების ხედვა, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის, მედია ექსპერტების და მარკეტოლოგების რეკომენდაციები და საერთაშორისო პრაქტიკაც გავითვალისწინეთ.

► რადიო ბათუმისთვის შევქმენით სამაუწყებლო კონცეფცია, რომლის მიხედვითაც საეთერო ბადის დიდი ნაწილი ახალ ამბებთან და საზოგადოებრივ პოლიტიკურ შოუებთან ერთად - მუსიკალურ-გასართობ, იუმორისტულ, შემეცნებით, ეკოლოგიურ, ისტორიულ და სპორტულ გადაცემებს დაეთმობა.

► საეთერო დროის დაახლოებით 15% დაეთმობა საინფორმაციო გამოშვებებს და თოქ-შოუებს, რომლებშიც ძირითადი ყურადღება გამახვილდება ბათუმსა და აჭარის რეგიონებში მომხდარ მოვლენებს.

►აღსანიშნავია ისიც, კონცეფციით რადიოპროგრამები განკუთვნილია ყველა ასაკობრივ სეგმენტზე, მათ შორის ბავშვებზეც.

►რადიო ბათუმი მაუწყებლობის თემატიკის და პრიორიტეტების განსაზღვრისას გაითვალისწინებს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მაუწყებლობის შესახებ გათვალისწინებულ წესებსა და დებულებებს.

## პროგრამირება

►ახალი ამბები ეთერში გავა ყოველდღე, ყოველ საათში, კვირის გარდა და გააშუქებს ბათუმში, რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. (ორშაბათი-კვირა)

►კვირის ანალიზი - ყოველკვირეული საინფორმაციო ანალიტიკური პროგრამა , კვირაობით 18 საათზე.

►საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუები

►ბათუმი დღეს - ბათუმის ამბები, სიახლეები, რა ხდება ქალაქში, რა ღონისძიებები იგეგმება, რა შეიცვლება ქალაქის მაცხოვრებლებისთვის. გადაცემაში მოწვეულნი იქნებიან ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ. (ხელისუფლებისა და თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პირდაპირ ეთერში იქნება მსმენელთა ზარები)

►ვუსმენთ ბათუმს - გამოკითხვა პირდაპირ ეთერში ყოველდღე ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით 18:00 – 18:30 გადაცემა ეთმობა დღის მთავარ საინფორმაციო თემას, სადაც მხოლოდ ხალხის აზრი ისმის. (აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის გადაცემის არსებობა ბათუმში ჩვენს მიერ გამოკითხულთა 90 % დაასახელა).

►მრავალკუთხედი - საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა (GARB) ყოველკვირეული ტელე-რადიო ჟურნალი

► განსხვავებული აზრი - საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა (GARB) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოველკვირეული ტოკშოუ.

►ხიდი - საქართველოს რეგიონულ რადიოსადგურიოსადგურთა ერთობლივი გადაცემა ქვეყანაში მიმდინარე კვირის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე

► "პრესრევიუ" ყოველდღე ორშაბათი-პარასკევი 2 ჯერ 11:40; 17:40; (ქრონომეტრაჟი 10 წთ) ეს არის რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო პრესის მთავარი სტატიების მიმოხილვა. ახალი და ტრადიციული მედიის სინთეზი, პარალელები და შედარებები. გადაცემაში ასევე მოხდება სხვადასხვა ვებგვერდის მიერ გავრცელებული ახალი ამბებიც. "დაზოგეთ დრო ინფორმაციის შეგროვებაზე - ჩვენ გთავაზობთ ყველაზე საინტერესოს" - ეს პრესრევიუს დევიზია.

► „ბიზნესბათუმი"ყოველდღიური ბიზნესიახლეები 13:32; 18:32 სთ. ეს არის გადაცემა საქმიანი ადამიანებისთვის. გადაცემა აჭარაში და საქართველოში მიმდინარე ბიზნესისა და ეკონომიკის სიახლეების შესახებ, გადაცემის სეგმენტია 25-65 წლამდე საქმიანი ადამიანები, ვისთვისაც მნიშვნელოვანია დრო, მოვლენები და ფინანსები. გადაცემაში მოხდება მთავარი თემების მიმოხილვა სტუმართან ერთად. ეს შესაძლოა იყოს ბათუმში, აჭარაში ან ქვეყანაში მიმდინარე მთავარი ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებული მოვლენა, ან რომელიმე ბიზნესკომპანიის ნოვაცია, პრობლემები ან მიღწევები. ახალი ბიზნესი.

► სპორტის ამბები ყოველდღე, დღეში 2-ჯერ. გადაცემას დაეთმობა 5 წუთი, სადაც მსმენელი ბათუმის, რეგიონის, საქართველოს და მსოფლიო სპორტის სამყაროდან უახლეს სიახლეებს შეიტყობს.

გადაცემა ეტერში გავა ყოველდღე 11:30 და 17:30 საათზე

► „სპორტის კვირა" - თოქ-შოუ. ყოველ კვირა დღეს გასული კვირის სიახლეები საქართველოში მომხდარი სპორტული ამბების, სიახლეების და ცვლილებების შესახებ სტუმრებთან ერთად. პირდაპირი ჩართვები საქართველოს რეგიონებიდან და პარტნიორი რადიოსადგურებიდან

► ვალუტა (ყოველსაათში)

► ამინდი (დღის განმავლობაში ყოველი საათის ნახევარზე)

► მატარებლების და თვითფრინავის გარიგი

► საგზაო მოძრაობა

► კინო და თეატრალური აფიშა

ყოველსაათში საქართველოს ეროვნული ბანკის კურსი

ცნობები მოსალოდნელი ამინდის შესახებ

ინფორმაცია მოძრაობის შესახებ ქალაქში

ინფორმაცია ყოველდღიური რეისების შესახებ.

► მუსიკალურ-გასართობი გადაცემები

რადიო „ბათუმი" მსმენელს ყველა დროის საუკეთესო მუსიკასთან ერთად შესთავაზებს თანამედროვე ქართულ და უცხოურ ჰიტებს.

საზოგადოების მუსიკალური გემოვნების და რადიო ბათუმის როგორც ბრენდის სტრატეგიულად განსაზღვრული ასოციაციების გათვალისწინებით, მუსიკალური ნაწილს წარმოადგენს რეგიონის ფოლკლორი და ყოველი საათის ბოლოს ქართული რეტრო მუსიკაც.

რადიო ბათუმი დროის გარკვეულ მონაკვეთში მსმენელს საშუალებას მისცემს მოუსმინოს პოპის,ჯაზის და როკ მუსიკის, რეპ და რეგ მუსიკის როგორც ძველ, ასევე ახალ ნამუშევრებს.

► "თანამედროვე კლასიკის 1 საათი "- ყოველდღე, დილის ეთერში 7:00 - 8:00 სთ;

► „ქართული ხალხური სიმღერა" - ყოველი საათის 32 წთ, ამინდის შემდეგ;

► "რემეიქი" - ყოველი საათის 10 წთ;

► "ოქროს ჰიტი" - ყველაზე პოპულარული 60-70-80 წლების მუსიკა. ყოველი საათის 50 წთ;

► "ჯაზის 5 წუთი" - რუბრიკა ჯაზ-მუსიკის მოყვარულთათვის, ყოველ დღე საღამოს ეთერში 19:55 სთ

► "Night Club"– ყოველ პარასკევს და შაბათს ღამის 2 საათიდან 6 საათამდე - ელექტრონული მუსიკის 4 საათიანი მონაკვეთი.

მუსიკალური პროგრამები ორიენტირებული იქნება ახალგაზდა მსმენელის ინტერესებზეც; მოეწყობა რადიო გათამაშება/შეჯიბრებები და ა.შ.

► "მუსიკალური ფოსტა" - ყოველდღე, 20:10-დან 00:00 სთ-მდე.

მოკლე ინფორმაცია: ღამის მუსიკალური გადაცემა, რომლის მსვლელობისას მსმენელს საშუალება ექნება პირდაპირ ეთერში დარეკოს, გააგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება, ესაუბროს წამყვანს და მის სტუმარს თემაზე, რომელიც კონკრეტული დღისთვის იქნება შერჩეული. თემაზე საუბარი მსმენელს შეუზღუდავად, ჩარჩოების გარეშე შეეძლება.

► დილა მშვიდობისა – ორშაბათი-პარასკევი, 08:00 –დან 10:00 სთ-მდე. დილის გამამხნევებელი თოქ-შოუ, რომელსაც 2 წამყვანი ეყოლება , გადაცემა სხვადასხვა რუბრიკებით იქნება გაჯერებული, მათ შორის ტურიზმი, სამზარეულო, ვიქტორინები, კულტურა , სპორტი, კინო და თეატრალური რუბრიკები, გამამხნევებელი მუსიკა და მოკლე ახალი ამბები. გადაცემას ეყოლება სტუმრებიც ბათუმში მიმდინარე სხვადასხვა საინტერესო თემაზე, წამყვანები დილიდან იზრუნებენ მსმენელის განწყობასა და ინფორმირებულობაზე.

► იუმორისტული რუბრიკა ანეგდოტი , რომელიც ყოველ დღე დღის განმავლობაში 4 ჯერ გავა ეთერში.

► ზღაპრის გუდა საბავშვო გადაცემა - გადაცემა ბავშვებისთვის, სადაც ზღაპრებს მოისმენენ. ყოველ პარასკევს 20.10 სთ



## შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროგრამები

► განათლება - 30 წუთიანი საინფორმაციო-შემეცნებითი ტიპის გადაცემა სკოლებზე,კოლეჯებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებზე, სადაც ყურადღება დაეთმობა აჭარის და საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს,სტუდენტების აქტივობებსა და სხვა ინიციატივებს.

► აჭარა ტური - გადაცემა მთლიანად ტურიზმს დაეთმობა და მსმენელს ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებს გააცნობს. სიახლეებს სხვადასხვა ტურისტული კომპანიებიდან. მოწვეულნი იქნებიან სტუმრებიც.

► რადიომედი - ეს არის სამედიცინო რადიოპროექტი , ეთერშია ყოველ ოთხშაბათს 12:30 სთ. გადაცემის ქრონომეტრაჟი 30 წუთია და მთლიანად სამედიცინო სფეროში მიმდინარე მოვლენებს, ჴოვაციებს, რჩევებსა თუ სხვა სიახლეებს ეთმობა (ახალი ამბები სხვადასხვა კომპანიის სიახლეების შესახებ, სტუმრის ბლოკი, მსმენელთა კითხვები ექიმთან)

► თარიღები - ყოველდღე , 12:15 და 18:15 სთ - რუბრიკა დღეებზე. მნიშვნელოვან თარიღებზე, ადამიანებსა და დღეებზე ინფორმაცია, ისტორიის 3 წუთი.

► ეკორადიო - ყოველ პარასკევს 14:30 სთ გადაცემა ეკოლოგიის შესახებ, რომელიც მომზადდება აჭარაში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით. (ქრონომეტრაჟი 30 წთ)

► ბათუმი ტური - ყოველდღე , ინფორმაცია ივენთებზე, რესტორნებზე და სასტუმროებზე, ტურისტულ ადგილებზე და დასვენებაზე. სხვადასხვა ღონისძიებები ფასდაკლებები და ა შ.(ქრონომეტრაჟი 10 წთ)

► ძველი ბათუმი -კვირაში რამდენჯერმე. რუბრიკა ძველი ბათუმი მთლიანად დაეთმობა ისტორიულ შენობებს, ადამიანებს რომლებმაც ბათუმის შექმნაში წვლილი შეიტანეს. კონკრეტული ქუჩების ამბავს (ქრონომეტრაჟი 5 წთ)

► საუბრები რელიგიაზე - ბათუმში რელიგიური თემები სენსიტიურია, სადაც სხვადასხვა მრწამსის ადამიანი ერთად ცხოვრობს. გადაცემაში ვსაუბრობთ რელიგიურ თემებზე, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებთან ერთად, ერთად თანაცხოვრებაზე, გარკვეულ პრობლემებზე, რომელიც არსებობს. გადაცემის სტუმრები ასევე იქნებიან ამ მიმართულების ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გადაცემა ეთერში გავა თვეში ერთხელ (ქრონომეტრაჟი 30 წთ)

► აღმაფრენის ერთი წუთი ყოველდღე, დღის განმავლობაში 4 ჯერ. რუბრიკა პროეზიისა და პროზის შესახებ ცნობილი მსახიობების ხმით

► "მსოფლიოს გარშემო" – ყოველდღე, დღეში 3-ჯერ.2 წუთიანი გადაცემა მსოფლიო სანახაობების შესახებ.

► "ცოცხალი ბუნება" - ყოველდღე, დღეში 2-ჯერ.2-3 წუთიანი გადაცემა ცხოველების, მცენარეების და სხვა ბუნებრივი მოვლენების შესახებ.

## ► მაუწყებლობის დაგეგმილი წესი

შპს "სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი" ნაწილობრივ მზადყოფნაშია, როგორც ტექნიკური, ისე ადამიანური რესურსით. ტექნიკური თვალსაზრისით ჩვენ გაგვაჩია ნაწილი ბაზა. ლიცენზიის მოპოვებიდან უახლეს პერიოდში, 2018 წლის 1 მარტიდან შესაძლებელია FM97.3 საცდელი მაუწყებლობის დაწყება.

რადიო "ბათუმის" მაუწყებლობა 24 საათის განმავლობაში განხორციელდება,

რადიო ბათუმი ლიცენზირებულ მუსიკალურ პროდუქციას გამოიყენებს ეთერში, და დაიცავს ყველა საავტორო უფლებას.

პროგრამების წილობრივი შეფარდება პროცენტებით, ასე გამოიყურება: ახალი ამბები-15%;მუსიკალური, გასართობით-შემეცნებით, სპორტული პროგრამები 85%;

სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი ბაზარზე თითქმის 20 წელია. თამამად შეიძლება ითქვას რომ ჩვენ ურთულეს პირობებში ვაკეთებთ ხარისხიან მედიაპროდუქციას, რასაც არაერთი კვლევაც ცხადყოფს.

მიუხედავად არასტაბილური და მყიფე სარეკლამო გარემოს არსებობისა, ჩვენ შევძელით ვიყოთ მდგრადი და ამავდროულად არ დაგვეკარგა ყველაზე მთავარი - დამოუკიდებლობა.

ჩვენი კომერციული საფუძველია: პარტნიორები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სპონსორები, კერძო ორგანიზაციები და სხვა რეკლამის დამკვეთები, ასევე გარკვეული საინფორმაციო ხასიათის მომსახრეობა, კომერციული აქციები, კონცერტები და შოუპროგრამები.

## ► გავრცელების არეალი

კერძო საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მიღების შემდეგ რადიო რადიო მაუწყებლობა საუკეთესო ხარისხით გავრცელდება ქ. ბათუმში და მის შემოგარენში,

FM97.3 (იხილეთ ტექნიკური პროექტი).

## ►მარკეტინგული გეგმის მოკლე მიმოხილვა:

მსმენელისთვის მრავალფეროვანი, დახვეწილი, სანდო ინფორმაციის, ადგილობრივი პროგრამებისა და გემოვნებიანი მუსიკის მიწოდება.

ძირითადი მარკეტინგული მიზნები:ბათუმში ერთ-ერთი ყველაზე სმენადი რადიოს პოზიციის დაკავება, რასაც რადიო ბათუმის სამაუწყებლო პოლიტიკით, ადამიანურ-ტექნიკური რესურსის და მარკეტინგული ინსტრუნემტების აქტიური გამოყენების გზით მიაღწევს;

► რადიო სარეკლამო ბაზარზე ლიდერი პოზიციის დაკავება, რასაც რადიო „ბათუმი“ კერძო ბიზნეს - სექტორის მიზნებზე ორიენტირებით, სწორი საფასო პოლიტიკით, მიმზიდველი, მუდმივად განახლებადი პროდუქტებით და ინტეგრირებული მარკეტინგული სტრატეგიებით მიაღწევს;

► პოზიციონირება - რადიო ბათუმი სასურველი პოზიციის მისაღწევად აქტიურად გამოიყენებს სხვადასხვა სარეკლამო საშუალებებს, მათ შორის ინტერნეტ სივრცეს (სოციალური ქსელები, შესაბამისი ვებ-გვერდები), ჟურნალ-გაზეთებს, ქუჩის აქციებს და PR ივენთებს კომპანიის სხვა რადიოსადგურებს რადიო ჰერეთსა და რადიო თბილისს.

► ჩვენ დამკვეთებს შევთავაზებთ მრავალფეროვან საინფორმაციო და სარეკლამო პაკეტს რაც ვალსახად გაზრდის კომპანიის შემოსავლებს და გახდება განვითარებაზე ორიენტირებული

პროდუქტების/მომსახურების მოკლე აღწერა: რადიო ბათუმი (ჰერეთთან და თბილისთან ერთად) მსმენელს და სარეკლამო დამკვეთს შესთავაზებს მაღალი ხარისხის რადიო პროდუქციას, რომელიც გამოირჩევა თავისი სტილით, ადვილად სმენადი და მრავალფეროვანი პროგრამებით. შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიონალიზმი მიმართული იქნება რადიო ჰერეთის პროდუქტების მუდმივი განახლების, მომსახურების ხარისხის მუდმივი ზრდის და აკადემიურობის მიღწევა-შენარჩუნებისკენ.

► შემოსავლის და დაფინანსების წყაროები:

- სარეკლამო დამკვეთები
- სპეციალური გადაცემების შემკვეთები (სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფო სტრუქტურები, კერძო კომპანიები და სხვა);
- საეთერო დროის მყიდველები
- გრანტები
- ინვესტორები;
- სარეკლამო მასალების და მომსახურების დამკვეთები;
- PR აქციების დამკვეთები.

მუსიკალურ-გასართობი გადაცემების პოტენციური სპონსორები და სარეკლამო დამკვეთები: სამშენებლო კომპანიები, სადაზღვეო და საბანკო, საფინანსო სექტორი, ტურიზმი, კვების პროდუქტები, ბენზინგასამართი სადგურები, სავაჭრო ცენტრები, კავშირგაბმულობის კომპანიები, ფარმაცევტული კომპანიები, გამაგრილებელი და ენერგეტიკული სასმელები, ბარები, რესტორნები, ახალგაზრდული ცენტრები, სასწავლო დაწესებულებები და ყველა ის კომპანია, რომელიც საინფორმაციო და სარეკლამო მხარდაჭერას საჭიროებს.

► დაფინანსების გეგმა

სამაუწყებლო კომპანია ჰერეთს გააჩნია ნაწილი ტექნიკური ბაზა ახალი რადიოსადგურის- „ბათუმის“ გასაშვებათ. თუმცა, ლიცენზიის მოპოვების შემდეგ რადიო ბათუმი არსებულ ტექნიკურ და ფინანსურ რესურსთან ერთად ინვესტიციის სახით დაეხმარება (თამაზ სამხარაძე, ჰერეთის ყოფილი დირექტორი, საქართველოსთან ერთად, ამავდროულად დიდი ბრიტანეთის მოქალაქე (გთხოვთ იხილოთ თანდართული წერილი)

გარდა ამისა, ჩვენ ინტენსიური თანამშრომლობა გვაქვს სარეკლამო კომპანიებთან „რეგიონული მედია ჰოლდინგი“ და „ინტერმედია ჯგუფი“, რომლებიც ინტენსიურად გეგმავენ ჩვენთან სარეკლამო თანამშრომლობას. არტ-ინფო საქართველოსთან (გთხოვთ იხილოთ შესაბამისი წერილები)

შპს "სამაუწყებლო კომპანია ჰერეთს" არსებობის განმავლობაში არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული.სარეკლამო თვალსაზრისით მიმდინარეობს მოლაპარაკებები პარტნიორებთან და სხვადასხვა კომპანიებთან.

► შეფასება/ანალიზი:

შეფასებისა და ანალიზისთვის სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი მუდმივად აკვირდება ბაზარს და აწარმოებს ფინანსურ გაანგარიშებებს, სტატისტიკურ ანალიზს, აკვირდება გარე წყაროების (მათ შორის ექსპერტების, კლიენტების და მსმენელების) და საკუთარი კადრების მიერ გაკეთებულ შეფასებებს.

► ბათუმში ლიცენზიის მოპოვების შემდეგ

ბათუმში დაფუძნდება პირველი დამოუკიდებელი რადიომაუწყებელი - რადიო ბათუმის სახით, რომელიც 24 საათის მანძილზე უწყვეტად იმაუწებლებს ტალღაზე FM 97.3. ლიცენზიის პირობების შესაბამისად, შემოსავლების შესახებ ინფორმაცია დროულად მიეწოდება "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას" და კომპანიის მხრიდან დროულად მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულება;

ბათუმში გაჩნდება ახალი, მრავალფეროვანი, სანდო და გემოვნებიანი რადიოსადგური, რომელიც ზუსტად მოერგება ბათუმელების ინტერესებსა და საჭიროებებს. რადიო „ბათუმი“ იმუშავებს სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის ეთიკისა და თვითრეგულირების სტანდარით, რომელიც გამოქვეყნებულია ვებგვერდზე : www.heretifm.com საქართველოს მედია-სივრცეში მაღალხარისხიანი გადაცემების მომზადება ჟურნალისტიკის ეთიკური სტანდარტების დამკვიდრება შეუწყობს ხელს და განავითარებს მედია-ბიზნესს. თავის მხრივ, სიტყვის თავისუფლება და დამოუკიდებელი მედია-ბიზნესის დამკვიდრება - დემოკრატიული ღირებულებებით ცხოვრების უმთავრესი ამოცანაა.

დამატებითი ინფორმაციის (დანართი N1)სახით, შპს სამაუწყებლო კომპანია ჰერეთის იხილეთ თვითრეგულაცია.



## ► ტექნიკური პროექტი

კერძო საერთო რადიომაუწყებლობაზე ქ.ბათუმში 97.3 ჰც სიხშირეზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოცხადებული კონკურსისათვის:

კერძო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად.

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი - ქ. ბათუმი,

საქართველოს ტელერ-რადიო ცენტრის ანძა (500 მ რადიუსის ფარგლებში)
სიხშირე (მჰც) – 97,3; მოდულაცია – FM;
ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ) 35 (+- 5 )მეტრი.
ანტენის მაქსიმალური გაძლიერების კოეფიციენტი(დბ) – 8.0 დბ
პოლარიზაციის სიბრტყე V/H– V;
რადიოგადამცემის სიმძლავრე – 500 ვტ;
გასხივების დიაგრამა ჰორიზონტალურ სიბრტყეში - წრიული
დაკავებული ზოლის სიგანე: (კჰც) – 300 კჰც
გეოგრაფიული კოორდინატები: 41°41 37 N / 41°42 54 E
მაუწყებლობა: 24 სთ
სტუდიის განთავსების ადგილია: ქ.ბათუმი

## გადამცემი აპარატურა

სტუდიიდან სიგნალის მიწოდება გათვალისწინებულია სარელეო დამაკავშირებელი ხაზით, ზემოთხსენებულ სიხშირეზე. გამოყენებული იქნება ჩეხური წარმოების ALCOMA-ს ფირმის

რადიოსარელეო მოწყობილობა.

“VIGINTOS ELEKTRONIKA”-ს

საკონკურსო პირობების შეასრულებლად შერჩეულია ლიტვის ფირმა

მიერ დამზადებული 501 ვტ სიმძლავრის გადამცემი RT-FMS

EX-FM 35S და საანტენო საფიდერო მოწყობილობები საჭირო მიმართულების (წრიული)მისაღებად.

გადამცემს გააჩნია წარმოშობისა და შესაბამისობის სახელმწიფო ერტიფიკატები რომლებიაც აღიარებულია მრავალ ქვეყანაში –კერძოდ უკრაინაში,ბელორუსიაში და სხვა. ამ ფირმის ათეულობით რადიო და ტელეგადამცემი მუშაობს საქართველოშიც.გადამცემი აპარატურა არის აღჭურვილი RDS კოდერით.

მზადყოფნაშია რადიოსტუდიები, რომელიც აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული და რადიო ტექნიკით. ამასთან თბილისიდან და კახეთის რეგიონიდან (რადიო თბილისი რადიო ჰერეთი ) პერიოდულად სიგნალის ჩართვით ბათუმში გამოიყენება მაღალტექნოლოგიური ინტერნეტკავშირი, აპარატურა დამზადებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გააჩნია შესაბამისობის სერთიფიკატი. გამოირჩევიან სტაბილური და საიმედო მუშაობით, იძლევა უწყვეტ რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობას, ამასთანავე ეკონომიურადაც ხელმისაწვდომია მფლობელისათვისაც.პროექტს თან ერთვის გამოსაყენებელი აპარატურის კერძოდ ტექნიკური ჩამონათვალი, ქსეროასლების სახით.

## საპროექტო დავალება

1. საკონკურსო პირობების შესაბამისად N252  სამაუწყებლო ზონისათვის:

• ბათუმის ანძაზე ანტენის განთავსების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 35 მ 97.3 მჰც სიხშირეზე 500 (ვტ) სიმძლავრის გადამცემისათვის;

2. გადამცემების ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ განისაზღვროს და გაიზომოს ელექტრომაგნიტული ველი.

3. მოცემული პარამეტრების შესაბამისად შეირჩეს რადიოგადამცემები, რელიეფისა და სამოქმედო ზონის გათვალისწინებით საანტენო-საკაბელო ტექნიკა.

4. განისაზღვროს ანძაზე გადამცემი ანტენების განლაგებისა და ტექნიკური მხარე, საქარხნო თანდართული დამაგრების ელემენტების შესაბამისად

## რადიო გადამცემი აპარატუის ტექნიკური მახასიათებლები



რადიო გადამცემი აპარატურა შერჩეულია ულტრამოკლე სიხშირულად მოდულირებული რადიოსამაუწყებლო 500 (ვტ) სიმძლავრის გადამცემების გამოყენებით, რომელიც დამზადებულია ლიტვის ფირმა "VIGINTOS ELEKTRONIKA"-ს მიერ გადამცემების საფირმო დასახელებებია: EX-FM-35S EXCITER;RT-FMS-501 გადამცემები მუშაობს მონო და სტერეო რეჟიმში რადიოგადამცემის შემადგენლობაში შედის აღმგზნები: EX-FM35S სიმძლავრის მაძლიერებელი FM AMPLIFER RFM-PA-501 რადიოგადამცემის წინა პანელზე გამოტანილია კონტროლირებადი პარამეტრების

გამზომი ხელსაწყოები, კერძოდ კონტროლირებადია:

- მარჯვენა და მარცხენა არხების დონეები
- წარმტანის დონე
- მოდულაციის სიღრმე
- გამოსასვლელი და არეკვლილი სამძლავრეები
- მონო და სტერეო რეჟიმი

გარდა ამისა შესაძლებელია:

- არხების(მარჯვენა და მარცხენა) დონეების რეგულირება
- AUX/RDS-ის დონეების რეგულირება
- გადამცემის გამოსასვლელი სიმძლავრის
- რეჟიმების მონო/სტერეო გადამცემს გააჩნია დაცვა, კერძოდ:
- ამცირებს გადამცემის სიმძლავრეს უსაფრთხო დონემდე
- გადამცემბს შეუძლია იმუშაოს RDS(RADIO DATA SISTEM)

(ქარხანა დამამზადებელ გადამცემებს აკომპლექტენს შესაბამისი კოდერით)

- შესაძლებელია გადამცემების დისტანციური მართვა და კონტროლი

(თანდართულ ტექნიკურ მონაცემებში, მოცემულია ყველა ძირითადი პარამეტრების სიდიდეები)

• გადამცემი შედგება გამოსასვლელი სიმძლავრის მაძლიერებლისაგან, რომელიც

• ერთკასკადიანია და მისი სიმძლავრე შედგება 501 ვტ • გადამცემის მეორე შემადგენელი ნაწილია აღმგზნები EX-FM35S, აღმგზნების ტექნიკური პარამეტრები მოცემულია დანართში.

აღმგზნების გამოსავალი სიმძლავრე რეგულირდება 0-დან 30ვატამდე, ფაქტიურად არის მცირე სიმძლავრის გადამცემი ყველა შესაბამისი პარამეტრებით,შესაძლებელია გადამცემის სიხშირე შეიცვალოს 10კჰც, 88-108 მჰც დიაპაზონში; გადამცემის სიხშირის სტაბილიზაცია <+50ჰც-ია, უზრუნველყოფილია შესაბამისი ფილტრებითა და კონტროლის სისტემით.

გადამცემი სერთიფიცირებულია ლიტვის სერთიფიკაციის ორგანოების მიერ.

## საანტენო – საკაბელო ტექნიკა



ულტრამოკლეტალღოვანი ფართოზოლოვანი გადამცემი ანტენა წარმოადგენს, BLR- 2DBAX2 ტიპის ანტენას, რომლის სურათი და ტექნიკური პარამეტრები მოცემულია ქსეროასლზე დანართის სახით.

ანტენის დიპოლების კონფიგურაციის ცვლით შესაძლებელია საჭირო მიმართულების დიაგრამის მიღება. ჩვენს შემთხვევაში მიმართულების დიაგრამა წრიული ფორმისაა, ანტენის განთავსების ადგილების შესაბამისად. ანტენა იმუშავებს ვერტიკალურ პოლარიზაციაში გადამცემი ანტენები განთავსდება ზემოთხსენებულ ანძაზე 35 მეტრ სიმაღლეზე ანტენა დაკომპლექტებულია სპეციალური სამაგრებით, რომელიც საშუალებას იძლევა დამაგრდეს ანძის კონსტრუქციაზე და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შეეცვალოს ელემენტების განაწილებაც, მიმართულების დიაგრამის შესაცვლელად.

## ენერგომომარაგება

რადიო გადამცემის და სტუდიის კვება ცალ-ცალკე ხორციელდება ერთფაზიანი 220ვ 50-60ჰც ცვალებადი ძაბვით.

მოთხოვნილი სიმძლავრეა 2000 ვტ. აპარატურის უწყვეტი მუშაობისათვის გათვალისწინებულია სარეზერვო კვება გენერატორითა და UPS-ებით.

## რადიო სტუდიების ლიცენზირებული ტექნიკური სოფტები, მხარდაჭერა და ჟღერადობა




სამაუწყებლო კომპანია ჰერეთმა IREX-ის გრანტის ფარგლებში, 2011 წელს შეიძენა დამატებით სამონტაჟო- პროდაქშენ სტუდია. ასევე შეერთებულ შტატებში ლიცენზირებულ პრომოები და სხვა ტიხრები გადაცემებისთვის 10 წლის განმავლობაში.

ჩვენ ვმაუწყებლობთ პოპულარული ლიცენზირებული სოფტით - Jazler RadioStar II – (პოპულარული პროგრამული კომპლექსი რადიოსადგურებისათვის). შეიცავს რადიოეთერის პროგრამირების, ავტომატიზაციის, სარეკლამო ჭრების მოქნილი მენეჯმენტისა და მონიტორინგის ფუნქციებს. რადიო ჰერეთს საშუალებას მისცემს, აამაღლოს კონკურენტუნარიანობა,პროგრამირების გაუმჯობესებული მომსახურება და მეტი ავტომატიზაციის ხარჯზე დაზოგონ მნიშვნელოვანი ადამიანური და ფინანსური რესურსი.

FM 97.3 ბათუმი




Big Fish Weekly - მსოფლიოს ერთ-ერთი წარმატებული კომპანია, რომელიც ახორციელებს რადიოსადგურების მხარდაჭერას პროფესიონალური ხარისხის აუდიო მასალით სარეკლამო რგოლების, ჯინგლების, ქუდების და ა.შ. მოსამზადებლად.

პროდუქტი ითვალისწინებს კომპანიის მომარაგებას ყოველკვირეულად, 200-მდე აუდიოტრეკითა და აუდიოეფექტით, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება მაღალი ხარისხის სარეკლამო რგოლებისა და ეთერის საიმიჯო გაფორმებისათვის. რაც მკვეთრად აამაღლებს რადიოსადგურების მიერ მომზადებული სარეკლამო რგოლების, თემატური გადაცემების, საინფორმაციო პროგრამებისა და ა.შ. მხატვრულ დონეს, საშუალებას მისცემს შეიქმნას რადიოსთის დამახასიათებელი, ექსკლუზიური და ადვილად დასამახსოვრებელი ჟღერადობა. აუდიომასალის ჩამოტვირთვა ხდება ონლაინ რეჟიმში, კომპანიის ვებ-სერვერზე სპეციალური პაროლის შეყვანის შემდეგ.

აღნიშნული აუდიო მასალის გამოყენებით, რომელიც მხოლოდ რადიო ჰერეთისთვის იქნება ხელმისაწვდომი, გამოარჩევს მათ სხვა მაუწყებლებისგან და გაზრდის მის საერთო ცნობადობას. შესაბამისად, რადიო, როგორც ბრენდი უკვე დაკავშირებული იქნება არა მხოლოდ საეთერო ფორმატთან და მაუწყებლობის ზონასთან, არამედ მას შეემატება მისთვის დამახასიათებელი სტილი ემოციური, გამორჩეული და განსაკუთრებული ჯღერადობის საიმიჯო აუდიო რგოლები. ეს ყოველივე მსმენელებში გაზრდის ლოიალურობას და რადიოს აუდიტორიას თვალნათლივ დაანახებს მის უპირატესობებს: გამორჩეულობას, დახვეწილობას და ხარისხს.

FM 97.3 ბათუმი

© 1998 - 2017.
საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთს“.

